

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს  
ბატონ გიორგი ხელაძეს  
საკრებულოს წევრის ევგენი ჩიჩუას

**მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

**ბატონო გიორგი,**

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ევგენი ჩიჩუას მიერ  
გაწეული მუშაობის ანგარიშის ამომრჩევლებთან წარდგენის ოქმი N 1.


დანართი: ოქმი N 1 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ევგენი ჩიჩუა

საკრებულოს წევრი

საკრებულოს წევრები



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქ.ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატის ვეგენი

ჩიჩუას მოსახლეობასთან ანგარიშის წარდგენის შესახებ

სხდომის ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი

24.10.2015წელი

ქ.ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მოზრძანებისთვის, მან განაცხადა რომ ეს შეხვედრა საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ევალუა ყველა დეპუტატს. მან ასევე აღნიშნა, რომ ის არის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიისა და ფრაქცია „მაჟორიტარების“ წევრი, გააჩნია ვალდებულება თავისი ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემები მიიტანოს აღმასრულებელ ხელისუფლებამდე. დეპუტატმა განაცხადა, რომ 2015 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტი იყო საბავშვო ბაღების რებილიტაცია და მათი პრობლემის გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურული პროექტით ქალაქის ტერიტორიაზე გაკეთდა სანიაღვრე არხები, მოხდა კუპრეიშვილის და დუმბაძის ქუჩის სანიაღვრე არხების სამუშაოების მთლიანად დასრულება, ასფალტის საფარი მოეწყო გორგასლის ქუჩაზე. დაგეგმილია ებრალიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა და გზის შესწორება, მომავალ წელს იგეგმება მდინარაძის ქუჩის შეკეთება. ასევე მიმდინარე წელს იგეგმება ქალაქის სკვერის რებილიტაცია, რისთვისაც 120 000 ლარია გამოყოფილი. დეპუტატმა ასევე განაცხადა, რომ მოსახლეობიდან ბევრი ერჯერადი სოციალური დახმარების განცხადებაა შემოსული, რომლის ნაწილი დაფინანსებულია, ხოლო დარჩენილი განცხადებების დაკმაყოფილება მოხდება ეტაპობრივად შემდგომ დაგვარად. მან ასევე აღნიშნა, რომ ქალაქის სკვერში მდებარე საპირფარეშო, რომელიც უფუნქციოაა, შეიძლება იქნეს გასხვისებული, შეეცვალოს ფუნქცია. ლანჩხუთის მცხოვრებმა ლევან ჩხაიძემ დააყენა საკითხი, ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობის, ასევე დასალევი წყლის სოკოს ფუნქციონირება, ცენტრალურ სკვერში საბავშვო გასართობი ატრაქციონების

მოწყობა.

დეპუტატი ადამ ხუხუნაიშვილის აზრით, რომ ვინაიდან ხშირად იმართება ტურნირები, დაიდგას ნარდის და ჭადრაკის სათამაშო მაგიდები და გადაიხუროს, უამინდობის დროს რომ არ მოხდეს ხელშეშლა.

მოსახლეობამ ისაუბრა მაწანწალა ძაღლების პრობლემაზე, რომლებიც ქალაქში მრავლადაა და მოითხოვეს, რომ შესაბამისმა სამსახურმა ზომები მიიღოს და მოახდინონ მათი იზოლირება.

ნიკოლოზ კოხანაშვილი თვლის, რომ აუცილებელია ჭადრის ხის მოჭრა რომელსაც გული აქვს დაზიანებული. ის საფრთხეს უქმნის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთო საცხოვრებელს, ასევე ქეთევან ცინცაძის საცხოვრებელ სახლს.

ქალაქის მცხოვრებლებმა დააყენეს მთელი რიგი პრობლემები, კერძოდ:

1. ქალაქის ცენტრის ღელის კალაპოტის ამოწმენდა
2. ქალაქის ქუჩებში (თბილისის, ჭანტურიას, გორგასლის, ალმაშენებლის, ატეკის მხარეს) ასფალტის საფარის რეაბილიტაცია.
3. ლამპიონების ირგვლივ ხეების ტოტების შესხევა.
4. სამოვრების მოწესრიგება მაჩხვარეთის და ლაშისღელის საზღვრებზე.
5. საყანე გზების რეაბილიტაცია(თუ შესაძლებელია ლაშისღელის ხრემით).
6. წყალგაყვანილობის დამატება წმ.ნინოს ქუჩაზე.
7. სამივე მინისტადიონის რეაბილიტაცია.
8. სახურავის შეკეთება ტელეატელიის თავზე.
9. მდ.ლაშისღელზე, დუმბაძის ქუჩა გაბიონის მოწყობა
10. ლაშისღელის კალაპოტის ამოწმენდა.

შეხვედრას ესწრებოდა სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ჯუმბერ ბლაგიძე. მან განცხადება გააკეთა ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უკვე დამტკიცდა ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული შესასყიდი მიწის ფასები, რამაც შეადგინა 3 ლარი და კომპენსაციის სახით იძლევიან ერთი წლის მოსავლის საფასურს, მისი განმარტებით ეს თანხა არის მიზერული რისთვისაც შეიქმნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დროებითი სამუშაო ჯგუფი და მიიღო დასკვნა, რომელთა აზრით უნდა მოხდეს 3 წლის კომპენსაციის გაცემა, ასევე მოწვეულია მცენიერთა ჯგუფი, რომლებიც დადებენ შესაბამის დაკვნას მიწის ღირებულებასთან დაკავშირებით.

დეპუტატი ევგენი ჩიჩუა მოსახლეობას დაპირდა, რომ მათ მოთხოვნებს და პრობლემებს ადგილობრივ ხელისუფლებამდე მიიტანს და ყველანაირად გვერდში დაუდგება პრობლემების გადაწყვეტაში.

ქ.ლანჩხუთის ადმინისტრაციული

ერთეულის დეპუტატი:



ევგენი ჩიჩუა